



წმინდა მიწაზე იორდანის მთავარეპისკოპოსს თეოფილაქტეს გამოემშვიდობნენ



2021 წლის 9 ოქტომბერს, იერუსალიმის წმინდათა მოციქულთასწორთა კონსტანტინესა და ელენეს საპატრიარქო ტაძარში, იორდანის მთავარეპისკოპოსის, ბეთლემში პატრიარქის ყოფილი ადგილმონაცვლის თეოფილაქტეს (გეორგადისი) წესის აგება აღესრულა.

წესის აგების წეს-განგება წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქმა თეოფილე III-მ შეასრულა, იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატისა და სასულიერო პირების თანამსახურებით.

ღვთისმსახურებაზე ასევე ლოცულობდნენ იერუსალიმში რუსეთის სასულიერო მისიის თანამშრომლები მისიის ხელმძღვანელის არქიმანდრიტი ალექსანდრეს (ელისოვი) მეთაურობით და საბერძნეთის

გენერალური კონსული ევანგელოს ველიორასი.

წესის აგებას დაესწრნენ იერუსალიმში ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლები.

წესის აგების დასრულების შემდეგ, იერუსალიმის საპატრიარქოს გენერალურმა მდივანმა, კონსტანტინის მთავარეპისკოპოსმა არისტარქემ გამოსამშვიდობებელი სიტყვა წაიკითხა, რომელშიც საუბარი იყო გარდაცვლილი მწყემსთმთავრის მიერ ეკლესიის სხვადასხვა მორჩილებისას განეული ღვანლის შესახებ.

სასახლეში ჩასვენებული გარდაცვლილი მეუფის ცხედარი საპატრიარქოს კარიბჭესთან გადაასვენეს, სადაც უნეტარესმა პატრიარქმა მიცვალებულთა ლიტია შეასრულა, რის შემდეგაც მიცვალებული მანქანით დასაკრძალ ადგილას გაასვენეს – ბეთლემში, ქრისტეს შობის ბაზილიკის სასაფლაოზე.

ბეთლემში, სასახლეში ჩასვენებული გარდაცვლილი იერარქის ცხედარი მთელ ქალაქში ხელით გაატარეს. ბეთლემის ქრისტეს შობის ბაზილიკის საკურთხეველის უკან დაკრძალვა გერასის მთავარეპისკოპოსმა თეოფანემ მრავალი მორწმუნის თანდასწრებით შეასრულა.

მისიის ხელმძღვანელის ლოცვა-კურთხევით გამოსამშვიდობებელ ღონისძიებაში მისმა მოადგილემ მღვდელმონაზონმა დომეტიანემ (მარკარიანმა) მიიღო მონაწილეობა.

იორდანის მთავარეპისკოპოსის თეოფილაქტეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით იერუსალიმის უნეტარესი პატრიარქის თეოფილე III-სადმი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ სამძიმარი გამოხატა.

იორდანის მთავარეპისკოპოსი თეოფილაქტე (ერში თეოდოსი გეორგიადისი) 1951 წელს, კოზანის (საბერძნეთი) სოფელ ხარავგში, უბრალო ბერძნულ ოჯახში დაიბადა. სასულიერო განათლება ქსანტის საეკლესიო სკოლაში (სემინარია) მიიღო.

1972 წელს იერუსალიმში ჩავიდა და პატრიარქის მისაღებად დაინიშნა

1973 წლის 1 მარტს მონაზვნად აღიკვეცა თეოფილაქტეს სახელით და სამი დღის შემდეგ ბერ-დიაკვნად აკურთხეს.

სამი წლის განმავლობაში საპატრიარქო სკოლაში აღმზრდელის თანაშემწედ მსახურობდა, რის შემდეგაც 1976 წელს მინის კომიტეტის მდივნად დაინიშნა.

1977 წლის სექტემბერში მღვდელმონაზვნად იქნა ხელთდასმული და წმინდა ნიკოლოზის მონასტრის ილუმენად დაინიშნა; 1979 წელს კატამონის წმინდა სვიმეონის მონასტრის წინამძღვრად დადგინდა.

იმავე წელს ლენინგრადის (ახლანდელი პეტერბურგი) სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. 1981 წელს იერუსალიმის პატრიარქ დიოდორეს სსრკ-ში ვიზიტის დროს არქიმანდრიტის ხარისხში იქნა აყვანილი.

1984 წელს ლენინგრადის სასულიერო აკადემია დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ნაშრომისთვის „დაბადების წიგნის ეთნოგრაფიული მონაცემები ისტორიული და არქეოლოგიური კვლევების ფონზე“.

იმავე წელს გაემგზავრა წმინდა მინაზე, სადაც ბეთლემში მსახურობდა. 1985 წლიდან იერუსალიმის საპატრიარქოს ეკონომიკური კომისიის მდივანი იყო, ხოლო 1986 წლიდან – იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი.

1989 წლის ნოემბერში რუსეთში იერუსალიმის მეტოქიონის საქმიანობა განახლდა არბატზე მდებარე აღდგომის განახლების ტაძართან. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმებით არქიმანდრიტი თეოფილაქტე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენლად და ამ ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1989 წლის 19 ნოემბერს საზეიმო წირვა შედგა, რომელსაც მინსკისა და ბელარუსის მიტროპოლიტი ფილარეტი (ვახრომეევი) უძღვებოდა, იერუსალიმის საპატრიარქოს მთავარი მდივნის ეპისკოპოსი ტიმოთეს (მარგარიტისი) (ახლანდელი ვოსტრსის მიტროპოლიტი) და მეტოქიონის წინამძღვრის არქიმანდრიტ თეოფილაქტეს თანამსახურებით.

1994 წელს იერუსალიმის მეტოქიონთან ჩამოყალიბდა უფლის წმინდა ცხოველმყოფელი საფლავის მოშურნეთა მართლმადიდებლური საზოგადოება, ხოლო 1997 წლის ნოემბერში – მოსკოველი საკვირველთმოქმედის წმინდა პეტრეს სახელობის დეპის კავშირი. 2001 წლამდე არბატზე მდებარე აღდგომის განახლების ტაძრის წინამძღვარი იყო.

2001 წელს იერუსალიმში დაბრუნებისთანავე დაინიშნა წმინდა სინოდის წევრად და დიდ სკეეოფილაქსად

(საეკლესიო ნივთების მცველი. - რედ.).

2003 წელს იგი გათავისუფლდა სკევიფილაქსის მოვალეობიდან და წმინდა თეოდორეს მონასტრის წინამძღვრად და წმინდანთა მოციქულთასწორთა კონსტანტინესა და ელენეს საპატრიარქო ტაძრის მღვდლად დაინიშნა.

2005 წლის 1 დეკემბერს იორდანის მთავარეპისკოპოსად გამოირჩიეს და ბეთლემში პატრიარქის ადგილმონაცვლედ დაადგინეს, ასევე – ბეთლემის ქრისტეს შობის ბაზილიკის წინამძღვრად. 17 დეკემბერს, იერუსალიმის უფლის აღდგომის ტაძარში მისი მღვდელთმთავრად კურთხევა აღესრულა, რომელსაც იერუსალიმის პატრიარქი თეოფილე III მეთაურობდა.

2012 წელს იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი გახდა.

2012 წლის 9 ნოემბერს წმინდა სინოდის სხვა წევრებთან ერთად იერუსალიმის საპატრიარქოს სატახტო დარბაზში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილესა და იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე III-ის შეხვედრაში მონაწილეობდა.

2017 წლის 24 თებერვალს იერუსალიმის საპატრიარქოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით საეკლესიო სასამართლოს წევრად დაინიშნა.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო კორონავირუსით დაავადების შედეგებთან, 2021 წლის 8 ოქტომბრის ღამეს გარდაიცვალა.

რუსეთის სასულიერო მისიის პრეს-სამსახური /

სსკვ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88239/>